MES 1 20 0000855196

18/09/2020

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2020 წლის 4 სექტემბერს.** სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/84338758551
Meeting ID: 843 3875 8551

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - მსოფლიო ბანკის პროექტის - "მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში" კონსულტანტი (საბჭოს თავმჯდომარე);
ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში, ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი;
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე;
გიორგი ტრაპაიძე - სს ,,ენერგო - პრო ჯორჯიას“ ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსი;
ნატო ქიტიაშვილი - სს ,,საქართველოს უძრავი ქონების“ გენერალური დირექტორის მოადგილე;
ნოდარ მამინაიშვილი - ა(ა)იპ - არაფორმალური განათლების ახალგაზრდულ ცენტრ ,,მზიანი სახლის“ გამგეობის თავმჯდომარე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში -ცენტრი) წარმომ ადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხრისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - კოლეჯი „აისი“:

მალხაზ ასლამაზაშვილი - დირექტორი;
დავით პაპაშვილი - დირექტორის მოადგილე;
ნინო ფროდიაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერის მოვალეობის შემსრულებელი.

ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი:

მანანა მოისწრაფიშვილი - დირექტორი;
შოთა მარგიშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი;
ლიკა ზაალიშვილი - სპეციალისტი.

შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი:

სულხან სულხანიშვილი - დირექტორი;
თამარ ბიწაძე;
თინათინ ენდელაძე

შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემია:

გოდერძი ფრანგიშვილი - ხელმძღვანელი.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

მამუკა გოგელია - (მინდობილობით), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ხარისხის მართვის მენეჯერი.

პროფესიული განათლების ავტორიზაციის ექსპერტები:

ტიტე ბოლქვაძე,
ვახტანგ ბოგველიშვილი,
ნინო ხაჩიძე,
ქეთევან ბოტკოველი,
ალინა კუპრავა,
ალექსანდრე კეკენაძე,

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. ფოტო და ვიდეოგადაღება აკრძალულია, ამიტომ, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

რადგან სხდომის მდივანი, მარიამ ჩაგელიშვილი სხდომას ვერ ესწრებოდა, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივნის მოვალეობის შესრულება დაავალა საბჭოს წევრს, შორენა ჯაფარიძეს, რომელიც დათანხმდა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „საექთნო საქმის“ (ს. ალვანი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „საექთნო საქმის“ (ს. დედოფლისწყარო) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - კოლეჯი „აისისათვის“ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. კაჭრეთში „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ - კოლეჯი „აისისათვის“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ. შრომაში „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
6. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯისთვის „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
7. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯისთვის „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
8. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
9. შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 თებერვლის №02 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
10. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს №57 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდათ.

1. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „საექთნო საქმის“ (ს. ალვანი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა საბჭოზე წარადგინა სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „საექთნო საქმის“ (ს. ალვანი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. მანაღნიშნა, რომ ეს საკითხი გადმოტანილი იყო 30 ივლისის საბჭოდან და საბჭოს შეახსენა საკითხის არსი, კერძოდ, 30 ივლისის საბჭოს სხდომაზე მეცამეტე საკითხად იყო განხილვა სოფელ ალვანში ,,საექთნო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომლის ფარგლებშიც წამოიჭრა საკითხი კოლეჯ ,,აისის“ პარტნიორი სამედიცინო კლინიკის საქმიანობის პროფილის დაზუსტების თაობაზე, რის შესახებაც ოქმიდან ამონარიდი წაიკითხა: ,,საბჭომ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, ვინაიდან ეს ეხება რეგულირებად პროფესიას, შეისწავლოს ცენტრმა პრაქტიკის ობიექტების რელევანტურობის საკითხი პროგრამის კლინიკური პრაქტიკის კომპონენტების სრულფასოვნად განხორციელებისთვის და გამოითხოვოს ინფორმაცია შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოდან. საკითხის განხილვა გადაიდო ცენტრის მხრიდან შესაბამისი მოკვლევის წარმოდგენამდე და საკითხი განხილულ იქნას ექსპერტების ჩართულობის გარეშე“. სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან გაეგზავნა წერილი შესაბამისი შეკითხვით - ს. ალვანში სსიპ - კოლეჯი ,,აისის“ პარტნიორ სამედიცნოკლინიკას, ავთანდილ ყამბარაშილის კლინიკას, ჰქონდა თუ არა ყველა იმ პროფილის საქმიანობის უფლება, რასაც ითვალისწინებს საექთნო პროგრამა და რომელიც მოცემული იყო ხელშეკრულებაში, რაც გაფორმებული ჰქონდა კოლეჯს სამედიცინო კლინიკასთან. წერილი გაიგზავნა 4 აგვისტოს და პასუხი მიღებულ იქნა 11 აგვისტოს. სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს წერილში წერია, რომ ყამბარაშვილის კლინიკა ფლობს სტაციონალური დაწესებულების ნებართვას. მას ნებართვა აქვს სამედიცინო საქმიანობაში, კერძოდ: ქირურგიული პროფილის საქმიანობა, რეანიმაცია და მეანო-გინეკოლოგიური პროფილის საქმიანობა და არ აქვს თერაპიული, პედიატრიული და ფსიქიატრიული საქმიანობის ნებართვა. აღნიშნული წერილი გადაგზავნილია საბჭოს წევრებთან და დევს საბჭოს მასალებში. ცენტრის წერილში სსიპ - კოლეჯი ,,აისის“ მეორე პარტნიორ კლინიკასთან (ს. დედოფლისწყარო) დაკავშირებითაც იყო დასმული კითხვები, კერძოდ, აწარმოებენ თუ არა ეს კლინიკები ქირურგიული, თერაპიული, რეანიმაციული, სამეანო, გინეკოლოგიური, პედიატრიული და ფსიქიკური პროფილის ავადმყოფთა მომსახურებას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თერაპიულ და პედიატრიულ პროფილს რაც შეეხება, ამასთან დაკავშირებით რა განმარტებას აკეთებს მარეგულირებელი სააგენტო, რაზეც ნანი დალაქიშვილმა უპასუხა, რომ აღნიშნული საქმიანობების განსახორციელებლად დაწესებულება უნდა ფლობდეს სტაციონალური დაწესებულების ნებართვას და აკმაყოფილებდეს არსებული კანონმდებლობით მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის N 385 დადგენილების მოთხოვნებს. თერაპიული და პედიატრიული სტაციონალური საქმიანობები არ ექვემდებარება დამატებით სანებართვო პირობების შესრულებას და შესაბამისად, ცალკე ნებართვის გაცემას. მისი თქმით, თერაპიულ და პედიატრიულ პროფილთან დაკავშირებით პრობლემა არ არის, პრობლემა არის მხოლოდ ფსიქიატრიულ პროფილთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მალხაზ ასლამაზაშვილმა, დააფიქსირა თავისი პოზიცია. მისი აზრით, იურიდიულად რომ მივუდგეთ ამ საკითხს, კოლეჯსა და კლინიკას შორის არის გაფორმებული ხელშეკრულება, სადაც კლინიკამ აიღო ვალდებულება, ამ კლინიკური პრაქტიკის მოდულების გატარების, მათ შორის მოდულების „კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია“ და „შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია“. კლინიკამ თვითონ გააფორმა დამატებითი ხელშეკრულება თელავის ფსიქო-ნევროლოგიურ დისპანსერთან, რომელსაც აქვს აღნიშნული საქმიანობის განხორციელების უფლება. რადგან კლინიკამ აიღო პასუხისმგებლობა ამ მოდულების განხორციელების, მანვე უზრუნველყო ამ ორი მოდულის გავლაც, რომელიც ეხება ფსიქიატრიულ ჯანმრთელობას და ფსიქიატრიას. მისი თქმით, თვითონ საერთოდ ვერ ხედავს პრობლემას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, როდის იყო გაფორმებული ეს ხელშეკრულებები.
მალხაზ ასლამაზაშვილმა განმარტა, რომ თავდაპირველად ხელშეკრულება გაფორმდა კოლეჯსა და კლინიკას შორის, აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, კლინიკამ აიღო ვალდებულება საექთნო განათლების პროგრამის ყველა კლინიკური სწავლების მოდულის განხორციელებაზე, მათ შორის ფსიქიატრიული ჯანმრთელობის მიმართულებითაც. კლინიკამ შემდგომში ვალდებულებიდან გამომდინარე, დამატებით გააფორმა ხელშეკრულება თელავის ფსიქონევროლოგიურ დისპანსერთან მიმდინარე წლის 24 აგვისტოს.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭოს ფორმატი არ ითვალისწინებს დამატებითი დოკუმენტაციის განხილვას, რომელიც შექმნილია მას შემდეგ, რაც დასრულდა ადმინისტრაციული წარმოება. ამ კუთხით მოკლებულია საბჭო უფლებას, რომ ეს განიხილოს ამ რეჟიმში. გარდა ამისა, აღნიშნული ხელშეკრულებები არ უნახავს ექსპერტებს, არ ყოფილა განხილული წინა საბჭოს სხდომაზე და არ არის შეფასებული.

ნანი დალაქიშვილმა დამატებით განმარტება გააკეთა. მან უპასუხა მალხაზ ასლამაზაშვილს, რომლის საუბარში გაიჟღერა, რომ მოკვლევა სრულად არ მომხდარა, კლინიკისთვის არავის არ მიუმართავს. ნანი დალაქიშვილის თქმით, მათი დავალება იყო, შესაბამის სააგენტოსთან დაზუსტებულიყო ამ კლინიკის მუშაობის პროფილი, არ ყოფილა დამატებითი მოკვლევის ვალდებულება, როცა ადმინისტრაციული საქმისწარმოება დასრულებული იყო. ეს თავის დროზე უნდა გაეკეთებინა დარგის ექსპერტს, შეესწავლა, კითხვებიც დაესვა და თუ ასეთი შესაძლებლობა კლინიკის მხრიდან არსებობდა, რომ ამ მოდულის განსახორციელებლად დამატებით ხელშეკრულებას გააფორმებდა, ამის შესახებ ინფორმაცია ექსპერტს უნდა წარმოედგინა საბჭოზე ან დასკვნაში უნდა აესახა.

საბჭოს წევრმა, შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ სამწუხაროა ექსპერტები რომ არ ესწრებიან საბჭოს სხდომას და მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით: როდესაც ექსპერტები იყვნენ ვიზიტზე, მათ ჰქონდათ საუბარი ამასთან დაკავშირებით? თუ არა, მაშინ ექსპერტებმა პრობლემა ვერ დაინახეს ამ ყველაფერში. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება ნამდვილად არსებობს და სამართლებრივად სწორადაა დადებული, არავინ ჩათვალა საჭიროდ, დამატებით კითხვები დაესვათ, მაგრამ ამჟამად, იმ წერილის გაცნობიდან, რომელიც შესაბამისმა მარეგულირებელმა ორგანომ გამოუგზავნა ცენტრს, უჩნდება კითხვა, არის თუ არა ასეთი ტიპის ხელშეკრულება საკმარისი იმისთვის, რომ ჩაითვალოს, რომ პროგრამის განხორციელების უფლება აქვს დაწესებულებას? მისი აზრით, ვინაიდან, საექთნო განათლების პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი, ფაქტიურად ნახევარი, კლინიკებში ხორციელდება, ძალიან მნიშვნელოვანია ექსპერტები არ დაეყრდნონ მხოლოდ სასწავლო დაწესებულებასა და კლინიკას შორის დადებულ ხელშეკრულებას და ადგილზე საფუძვლიანად შეისწავლონ კლინიკის შესაძლებლობები პროგრამაში წარმოდგენილი ყველა კლინიკური პრაქტიკის

მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით. ამასთან საგანმანათლებლო დაწესებულებამ, განაცხადის შემოტანის დროს, წარმოადგინოს კლინიკის შესაძლებლობებთან დაკავშირებით უფრო დამაჯერებელი დასაბუთება, თუნდაც ზემოაღნიშნული მარეგულირებელი სააგენტოს მიერ დადასტურებული ინფორმაცია.
ამ ფორმატში ამის შეფასება არის შეუძლებელი და არც უფლებამოსილება აქვს საბჭოს.

ნანი დალაქიშვილმა განმარტება გააკეთა ცენტრის პრაქტიკასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ, რა თქმა უნდა, ყველა ექსპერტთა ჯგუფი წინასწარ გადის კონსულტაციებს ცენტრში, საექთნო პროგრამების ფარგლებში ეს კონსულტაციები არის კიდევ უფრო დეტალური, რადგანაც ჩარჩო დოკუმენტი ხელშეკრულების გარკვეულ პუნქტებს პირდაპირ მოიაზრებს. თუმცა იმ პუნქტების შემოწმების თაობაზე ექსპერტებს განსაკუთრებულად ამახვილებინებენ ყურადღებას. რაც შეეხება დაწესებულების პროფილებს, ყველა ექსპერტმა იცის, ხელშეკრულებაში ასახული კლინიკური მოდულების განხორციელების შესაძლებლობა არსებობს თუ არა რეალურად. თუ ხელშეკრულებაში არის ჩამონათვალი და კლინიკა თავის თავზე იღებს ყველა საჭირო მოდულის გავლას, აუცილებლად უნდა გადამოწმდეს, რამდენად არის ამის შესაძლებლობა და ასე ხდებოდა ყოველთვის და ნამდვილად შესაბამისი დასკვნები მოდიოდა საბჭოზე. თუ ზოგადი მონიტორინგი ჩაინიშნება საექთნო პროგრამების განხორციელების თაობაზე, შესაძლოა ეს მთლიანად ყველა განმახორციელებელთან მოხდეს და მთლიანობაში კიდევ ერთხელ გადამოწმდეს და ეს თემა გასავლელია. ანალოგიური შემთხვევა იყო ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის საჩხერის ფილიალში. მათ დამატებითი ხელშეკრულება ჰქონდათ ფსიქიატრიული მიმართულების კლინიკასთან და ექსპერტების მიერ სათანადოდ იქნა ყველაფერი გადამოწმებული და ზოგადად, ამის თაობაზე იციან ექსპერტებმა. რაც შეეხება ამ შემთხვევას, ექსპერტის მიდგომა გამოიკვეთა გასულ საბჭოზე და ეს ჩანაწერი არის ოქმშიც. ხოლო რაც შეეხება სამედიცინო კლინიკების საქმიანობების ნებართვის წინასწარ დადგენას, თუ ჩაითვლება საჭიროდ, უნდა მოხდეს მოკვლევა ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესში და ამასთან დაკავშირებით ნანი დალაქიშვილი დაეთანხმა წინა გამომსვლელს.

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ დღის წესრიგის მეორე საკითხიც არის იგივე სახის, სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „საექთნო საქმის“ (ს. დედოფლისწყარო) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელიც მსგავსია პირველი საკითხის, ანალოგიურად ამ შემთხვევაშიც არის პარტნიორი კლინიკა, რომლის თაობაზეც ასეთივე ჩამონათვალი გამოგზავნა მარეგულირებელმა ორგანომ, სადაც არ ფიგურირებს ფსიქიატრიული მიმართულება. მან საბჭოს წევრებს შესთავაზა, ორივე შემთხვევაზე ერთიან ჭრილში ემსჯელა, რადგან ანალოგიური შემთხვევებია, რაზეც საბჭომ თანხმობა განაცხადა.

ნოდარ მამინაიშვილს აინტერესებდა, აღნიშნული ხელშეკრულება თავიდანვე რომ ჰქონოდა კოლეჯს, საკმარისი იქნებოდა თუ არა? მისი აზრით, ეს იურიდიულად არ არის საკმარისი და საბჭოს ვალდებულება ამ შემთხვევაშიც არ ექნებოდა.

ნატო ქიტიაშვილმა კითხვა დასვა, რამდენად მართებულია, რომ კლინიკური პრაქტიკის ობიექტი, რომელსაც არ აქვს პროგრამის რომელიმე კომპონენტის განხორციელების რესურსი თვითონ, საგანმანათლებლო დაწესებულების ჩარევის გარეშე, დებდეს ხელშეკრულებას, სხვა სამედიცინო დაწესებულებასთან, როგორც ეს მოხდა სსიპ კოლეჯი „აისის“ შემთხვევაში. საერთოდ მისი აზრით, ამ შემთხვევაში კოლეჯს თვითონ უნდა გაეფორმებუნა ხელშეკრულება მესამე პირთან.

ნანი დალაქიშვილი დაეთანხმა ნატო ქიტიაშვილს და აღნიშნა, რომ იზიარებს მის ლოგიკას და სამართლებრივ მსჯელობასაც. მან აღნიშნა, რომ მსგავსი შემთხვევა არ ჰქონიათ, ანუ მეორადი ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებით.

კითხვების არარსებობის შემდეგ საბჭომ ისარგებლა სათათბირო დროით.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭომ წინა სხდომაზე ავტორიზაციის დებულების 42-ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტების საფუძველზე, შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, ადმინისტრაციულ საქმისწარმოებაში დაინტერესებულ მხარეს, რომ საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებები დამატებით გამოეკვლია. საბჭომ მიიღო ცენტრისგან ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით და იმსჯელა გადაწყვეტილებასთან მიმართებაში, ასევე, მან მიმართა საბჭოს სახელით ბატონ მალხაზს, დაწესებულების დირექტორს, რომ ავტორიზაციის დებულების 42-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, მხედველობაში ვერ მიიღება ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა საქმისწარმოების დასრულების შემდეგ, შესაბამისად, ხელშეკრულებაზე, რომელზეც საუბრობდა და რომელიც უნდოდა გაეზიარებინათ, საბჭო ვერ იმსჯელებდა. საბჭოს არ აქვს ამის უფლება. საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ საბჭო არ იზიარებს ექსპერტების დასკვნას და მიაჩნია, რომ ფიქსირდება სსიპ კოლეჯ „აისისათვის“ პროგრამა „საექთნო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან შეუსაბამობა როგორც ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ალვანში, ისე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „საექთნო საქმის“ (ს. ალვანი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 0
წინააღმდეგი: 7

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ და ფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯ „აისს“ (ს/კ: 227770800) უარი ეთქვას განახორციელოს „საექთნო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამა ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვემო ალვანში.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 4 სექტემბერი.

2. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „საექთნო საქმის“ (ს. დედოფლისწყარო) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხისგანხილვა

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ „საექთნო საქმის“ (ს. დედოფლისწყარო) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 0
წინააღმდეგი: 7

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯ „აისს“ (ს/კ: 227770800) უარი ეთქვას განახორციელოს „საექთნო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. სამრეკლოში.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 4 სექტემბერი.

3. ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - ტიტე ბოლქვაძემ და ვახტანგ ბოგველიშვილმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ტიტე ბოლქვაძემ აღნიშნა, რომ ეს იყო არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი, რომელიც განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ მიერ 2020 წლის 21 მაისის სხდომაზე წარდგენილი შუამდგომლობის საფუძველზე.

მონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა დოკუმენტების შესწავლის გზით, ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის „სარკინიგზო გადაზიდვების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, შეფასებულიყო ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.დ) კომპონენტი და ასევე შემოწმებულიყო 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის ნაწილში გაცემული რეკომენდაციების შესრულება.

ექსპერტთა ჯგუფს ცენტრისგან მიეწოდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განახლებული შვიდწლიანი გეგმა და ავტორიზაციის სტანდარტების 2.4 კომპონენტის შესაფასებლად დოკუმენტაცია. კოლეჯმა დამატებით წარმოადგინა 2020 წლის 10 ივნისის ოქმი #2 ვერიფიკაციის ჯგუფის სამუშაო შეხვედრის შესახებ და შეხვედრაზე დასწრების ფურცელი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა კოლეჯის მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია, დასკვნა და სხდომის ოქმი. აღმოჩნდა, რომ სასწავლო გეგმები დაწესებულების მხრიდან შეცდომით იქნა გადმოგზავნილი სხვა პროგრამის, რის თაობაზეც ეცნობა დაწესებულებას და 2020 წლის 27 ივლისს დაწესებულებამ დამატებით გადმოაგზავნა შესამოწმებელი პროგრამის სასწავლო გეგმები.

კოლეჯის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტების დანართი #7, ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2016-2023 დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 4 თებერვლის #2 ბრძანებით, ხოლო ცვლილება განხორციელდა კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის #29 ბრძანებით, სადაც გათვალისწინებულია ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები.

გეგმაში მოცემულია კოლეჯის მისია, ხედვა, კოლეჯის ღირებულებები და სამუშაო პრინციპები, ასევე კოლეჯის ისტორია, სტატუსი და ინსტიტუციური პარტნიორები, კოლეჯის განვითარების შესაძლებლობები, სახელმწიფოს მხარდაჭერა და პოლიტიკა, დამსაქმებელთა ინტერესი, რისკები, ორგანიზაციული მიმოხილვა, ორგანიზაციის გამოწვევები და ძლიერი მხარეები, SWOT ანალიზი, სტრატეგიული მიზნები, ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2016-2023 წლებისთვის ცხრილის სახით, სადაც წლების მიხედვით არის გაწერილი კოლეჯის მიერ განსახორციელებელი აქტივობები.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ექსპერტები თვლიან, რომ დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს ყველა ის რეკომენდაცია, რაც წინა ვიზიტზე მიეცათ.

დაწესებულების დირექტორმა, მანანა მოისწრაფიშვილმა ვერიფიკაციის და ვალიდაციის პროცესებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ, გარდა იმ დოკუმენტაციისა, რაც დაწესებულებამ წარმოადგინა, მათ უკვე დაწყებული აქვთ ეს პროცესები. უკვე პირველი კურსდამთავრებულები ჰყავთ და ერთ თვეში კიდევ ეყოლებათ ოციოდე კურსდამთავრებული და მათი პორტფოლიოების ვერიფიკაციის პროცესი მიდის. ასე რომ, ისინი თვლიან, რომ პირნათლად შეასრულეს რეკომენდაციები და პროცესები გაუმჯობესებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისათვის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ „სარკინიგზო გადაზიდვების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის (ს/კ: 402019917) მონიტორინგთან დაკავშირებით „სარკინიგზო გადაზიდვების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 4 სექტემბერი.

4. სსიპ - კოლეჯი „აისისათვის“ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. კაჭრეთში „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მონიტორინგის შესახებ საკითხის გა ნხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - ნინო ხაჩიძემ და ქეთევან ბოტკოველმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ხაჩიძემ საბჭოს წარუდგინა პრეზენტაცია.

2020 წლის 21 მაისს, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ განიხილა სსიპ - კოლეჯ „აისის“ მიერ სატყეო საქმის საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის (ნინო ხაჩიძე - ჯგუფის თავმჯდომარე; თამარ ახალაძე - ჯგუფის წევრი) დასკვნა და მიიღო გადაწყვეტილება სსიპ - კოლეჯი „აისისათვის“ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კაჭრეთში სატყეო საქმის საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭებისა და მონიტორინგის დანიშვნის შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება მონიტორინგის დანიშვნის შესახებ დაეფუძნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, რომლის მიხედვითაც საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის 2.3 და 2.4 კომპონენტი იყო „მეტწილად შესაბამისობაში“. დაწესებულებას კომპონენტების სრულ შესაბამისობაში მოსაყვანად, დაწესებულებისვე გადაწყვეტილებით, განესაზღვრა ორთვიანი ვადა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 21 მაისის სხდომის ოქმის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 28 ივლისის ბრძანებით, შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი (ნინო ხაჩიძე - ჯგუფის თავმჯდომარე; ქეთევან ბოტკოველი - ჯგუფის წევრი), რომლებსაც დაევალათ დოკუმენტაციის შესწავლის გზით, სსიპ - კოლეჯ "აისის" „სატყეო

საქმის“ (პროგრამის განხორციელების ადგილი: გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი) საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის (ბ.გ) და (ბ.დ) კომპონენტების შესრულების შემოწმება.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, ექსპერტთა ჯგუფისთვის მიწოდებულ იქნა დაწესებულების მიერ მონიტორინგის მიზნებისთვის წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის მიმდინარეობდა გაწეული მუშაობის შედეგების შეჯამება. ასევე, სტანდარტის კომპონენტების სრულყოფილად შეფასების მიზნით, დაწესებულებიდან დამატებით გამოთხოვილ იქნა დოკუმენტები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად შემუშავდა დასკვნა.

კოლეჯის მიერ გასწორებულია 2.3 და 2.4 კომპონენტებთან მიმართებით შეუსაბამობები და ამჟამად სრულ შესაბამისობაშია სტანდარტთან.
2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას განვითარების შემდეგი რეკომენდაციები მისცა:
დაწესებულების მიერ წარმოადგენილ კითხვარების ფორმებში კითხვარების ნაწილს ახლავს ინსტრუქცია. კითხვარები მოიცავს ღია და დახურულ კითხვებს. დახურული კითხვების შემთხვევაში ძირითადად გამოყენებულია რეიტინგული და რანჟირებული სკალა, თუმცა ზოგიერთ კითხვარში გაპარულია უმნიშვნელო ტექნიკური უზუსტობები. შესაბამისად, სასურველია კითხვარებში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობები.

ანგარიშით ირკვევა, რომ „კვლევა განხორციელდა Google Drive-ის საშუალებით ინტერნეტ გამოკითხვით“, თუმცა Google Drive არის ე.წ. „ღრუბლოვანი საცავი“ და ის ვერ იქნებოდა გამოყენებული კვლევის მიზნებისთვის. დაწესებულების მიერ გამოყენებული იყო Google Forms. შესაბამისად, სასურველია კვლევის ანგარიშში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა.

დირექტორის 2020 წლის 3 ივლისის N02-01-137 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ - კოლეჯი „აისის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი, რომელშიც გაწერილია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით სტუდენტის კვირეული დატვირთვა არის „25 საათზე მეტი და 40 საათზე ნაკლები (დატვირთვაში იგულისხმება დამოუკიდებელი საათებიც)“. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმით ირკვევა, რომ პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არის ძირითადად 25 საათი, ხოლო ქართული ენის მოდულების გავლის შემთხვევაში ზოგჯერ 40 საათიც. შესაბამისად, სასურველია, დაწესებულების მიერ შემუშავებულ რეგულაციაში ფორმულირება შეიცვალოს იმგვარად, რომ მოერგოს შემუშავებულ სასწავლო გეგმებს.

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - კოლეჯი „აისის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია არაფორმალური განათლების აღიარების პირობები. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ 2019 წლის 6 სექტემბერს დამტკიცდა არაფორმალური განათლების აღიარების წესი და განისაზღვრა, რომ დაწესებულებებს შეუძლიათ მოიპოვონ არაფორმალური განათლების აღიარების უფლება მხოლოდ იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით და პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების აღიარებისთვის, რომლის განხორციელების უფლებაც მას კანონმდებლობით

დადგენილი წესით აქვს მოპოვებული, ხოლო დაწესებულებას არაფორმალური განათლების აღიარების უფლება არ აქვს მოპოვებული, მიზანშეწონილია, აღნიშნული წესი არ იყოს გაწერილი დაწესებულების რეგულაციაში.

დაწესებულებას სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში აქვს შემდეგი ჩანაწერი:
„გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტი - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენოვანი ტესტირების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტი, რომელმაც დაძლია მოდული ,,ქართული ენა A2“. „პროფესიული სტუდენტის მიერ ,,ქართული ენა A2” მოდულის სწავლის შედეგების დაუძლევლობის შემთხვევაში, პირს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი“.

გამომდინარე იქიდან, რომ მეოთხე და მეხუთე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტი ვალდებულია ასევე გაიროს მოდული „ქართული ენა B1”, სასურველია, აღნიშნული იკვეთებოდეს დაწესებულების მიერ შემუშავებულ რეგულაციაში.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, პროგრამით გათვალისწინებული მინიმუმ ერთი მოდულის სწავლის შედეგების ვერ დადასტურება, რომელიც არის წინაპირობა პროგრამით გათვალისწინებული სხვა მოდულების, რომელთა საკონტაქტო საათების ჯამი შეადგენს სრული პროგრამის ერთ მესამედს“. გამომდინარე იქიდან, რომ მინიმუმ ერთი მოდულის საკონტაქტო საათები, ვერ იქნება პროგრამის ერთი მესამედი, სასურველია აღნიშნული ჩანაწერი არ ახდენდეს მოდულთა რაოდენობის კონკრეტიზაციას და იყოს ზოგადი და ამავე დროს უფრო მეტად ზუსტი ინფორმაციის მატარებელი, რადგან იკვეთებოდეს, რა შემთხვევაში შეუწყდება პროფესიულ სტუდენტს სტატუსი.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით ასევე ირკვევა, რომ იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში კოლეჯის მიერ პარტნიორ ორგანიზაციასთან შეთანხმებით, აპლიკანტი ვალდებულია გაიაროს კოლეჯის მიერ დადგენილი კონკურსი და მონაწილეობა მიიღოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ ტესტირებაში. აპლიკანტის ჩარიცხვა განხორციელდება მხოლოდ კონკურსის შედეგების გათვალისწინებით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებით ირკვევა, რომ აპლიკანტებმა, რომლებსაც სურთ იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, უნდა გაიარონ კონკურსი შესაბამისი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით. აღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტის ჩარიცხვა განხორციელდება მხოლოდ კონკურსის შედეგების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, პროფესიულ სტუდენტს არ უწევს პროფესიულ ტესტირებაზე გასვლა. შესაბამისად, სასურველია აღნიშნული ზუსტად აისახოს დაწესებულების მიერ შემუშავებულ რეგულაციაში.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შემდეგი, მეხუთე საკითხი ეხება იგივე პროგრამას, სოფელ შრომაში. იგი დაინტერესდა, ხომ არ ყოფილა რამე განსხვავებული ამ შემთხვევაში, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ არანაირი განსხვავება არ ყოფილა, ზუსტად იგივე იყო იქაც. განსხვავება იყო მხოლოდ ცენტრის დირექტორის ბრძანება, რის საფუძველზეც შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, თუმცა დასკვნა არის იგივე და განხორციელების ადგილი არის სხვა.

ნანი დალაქიშვილმა დაამატა, რომ ავტორიზაციის დებულების მიხედვით განსაზღვრულია, თითოეული პროგრამის ფარგლებში თუ ინიშნება მონიტორინგი, მით უმეტეს განსხვავებულ მუნიციპალიტეტებში, ვალდებულებაა ცალ-ცალკე ჯგუფი შეიქმნას და ცალ-ცალკე დასკვნა დაიწეროს. ამიტომ ორი იდენტური დასკვნაა ერთი და იგივე ჯგუფის მიერ. მისი თქმით, ეს თემა გავლილია როგორც იურისტებთან, ასევე აუდიტთან.

დაწესებულების დირექტორმა, მალხაზ ასლამაზაშვილმა თავისი ღრმა პატივისცემა დაადასტურა ექსპერტების, საბჭოს, ცენტრის მიმართ და განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, ახალ სტანდარტებზე გადასვლა იყო ნამდვილად გამოწვევა, რომელმაც განაპირობა ნორმატიული აქტების ცვლილება. თავისთავად, გარკვეული ტექნიკური ხარვეზები ნამდვილად იყო, თუმცა ის განვითარების რეკომენდაციები, რაც ქალბატონმა ნინომ ჩამოთვალა, პრაქტიკულად გათვალისწინებულია, ასახულია. მარეგულირებელ წესში უკვე შეტანილია ცვლილებები.

შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ ეს განვითარების რეკომენდაციები ძალიან მნიშვნელოვანია და დიდი მადლობა ექსპერტებს, რომ ასე კარგად და ყურადღებით წაიკითხეს ყველაფერი, ასევე აღნიშნა, რომ რეკომენდაციების ნაწილი ეხება დაწესებულების მიერ რეგულაციებში ახალი საკანონმდებლო ნორმების ასახვას, ამიტომ სხვა დაწესებულებებმაც უნდა გაითვალისწინონ ეს რეკომენდაციები, პერიოდულად გადახედონ მათ მიერ შემუშავებულ რეგულაციებს, რათა შესაბამისობაში მოიყვანონ დადგენილ/შეცვლილ საკანონმდებლო ნორმებთან. მეტიც, რეგულაციების გადახედვა უნდა იყოს ერთ-ერთი მიმართულება რომელიც შესაძლოა ასახული იყოს როგორც სტრატეგიულ, ასევე სამოქმედო გეგმებში.

ნანი დალაქიშვილმაც გამოხატა თავისი პოზიცია, სრულად დაეთანხმა ქალბატონ შორენას და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ყველა დოკუმენტის ასეთი დეტალური შეფასებისთვის და სთხოვა დაწესებულებას და ბატონ მალხაზს, რომელიც მუდამ ყურადღებით ეკიდება დასკვნებს და საბჭოს გადაწყვეტილებებს, კიდევ დეტალურად გაიაროს ყველა დოკუმენტი განმავითარებელი რეკომენდაციების ჭრილში. ძალიან ფასეულია, დეტალურია და შეიძლება არა მარტო ამ კოლეჯისთვის, არამედ სხვისთვისაც იყოს ძალიან კარგი სახელმძღვანელო, თავისი დოკუმენტების დახვეწისთვის.

საბჭოს თავმჯდომარე დაეთანხმა ამ პოზიციას და დაამატა, რომ ქალბატონი ნინოს დასკვნები გამოირჩევა დეტალიზაციით და დოკუმენტების ღრმა შესწავლით და მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს პრეზენტაციისთვის და ნამდვილად მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი რეკომენდაციებისათვის.
ასევე აღნიშნა, რომ რადგან იდენტურია მეხუთე საკითხიც, დასკვნაც და პროგრამაც ერთი და იგივეა, კენჭი ეყაროს ორივე საკითხს, რაზეც საბჭოს წევრები დაეთანხმნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - კოლეჯი „აისისათვის“ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. კაჭრეთში „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტასთან დაკავშირებით .

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯი „აისის“ (ს/კ: 227770800)მონიტორინგთან დაკავშირებით გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. კაჭრეთში „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 4 სექტემბერი.

5. სსიპ - კოლეჯი „აისისათვის“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ. შრომაში „სატყეო საქმის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მონიტორინგის შესახებ საკითხის გან ხილვა

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „აისისათვის“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ. შრომაში „სატყეო საქმის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტასთან დაკავშირებით.შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,
შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯი „აისის“ (ს/კ: 227770800) მონიტორინგთან დაკავშირებით ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ. შრომაში „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 4 სექტემბერი.

6. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯისთვის „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმააღნიშნა, რომ ფართის ცვლილების შესახებ საკითხი ცალკე წარმოების თემაა ახალი დებულების მიხედვით და ბრძანებით იყო გაწერილი, რა უნდა შესრულებულიყო.

პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ალინა კუპრავამ. როგორც მან აღნიშნა, ვიზიტის საფუძველი იყო შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეტანილი განაცხადი „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფართის ცვლილების შესახებ და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 28 ივლისის ბრძანება საგანმანათლებლო პროგრამა „ვებტექნოლოგიების“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების "ბ.ბ" და "ბ.დ" და ე) ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების "ე.ა" და " ე.ბ" კომპონენტებთან შესაბამისობის შემოწმების შესახებ.

ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 7 აგვისტოს. ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით, წარმოდგენილი დოკუმენტებისა და დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული მასალების შესწავლით დასტურდება, რომ კოლეჯმა გაითვალისწინა წინა ვიზიტის ფარგლებში მიცემული რეკომენდაციები, გარდა პროგრამის განმახორციელებელი პირების გადამზადებისა. დაწესებულებას ექსპერტთა მხრიდან ისევ მიეცა აღნიშნული განმავითარებელი რეკომენდაცია.

პროგრამა არის მეოთხე დონის, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა პროგრამაზე - 15 და ამჟამინდელი მისამართი არის ქ. თბილისი, ჯანო ბაგრატიონის N6. პროგრამას ჰყავს დარგის კომპეტენციის მქონე პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის განმახორციელებელი პირების რაოდენობა შეადგენს - 10-ს, აქედან სამი დარგის წარმომადგენელია.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, დარგის ექსპერტმა ალექსანდრე კეკენაძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებული მატერიალური რესურსი სრულად აკმაყოფილებს პროგრამის მოთხოვნებს, მეტიც კომპიუტერული სისტემების ტექნიკური პარამეტრები ბევრად აღემატება ჩარჩო დოკუმენტით დადგენილს, რაც საშუალებას მისცემს დაწესებულებას დიდი ხნის განმაავლობაში ისარგებლოს აღნიშნული კომპიუტერული მოწყობილობებით. მან აღნიშნა, რომ გასაუბრება ჰქონდა პროგრამის ხელმძღვანელთან და პედაგოგებთან, რომლებიც დარგის კარგი სპეციალისტები არიან, თუმცა, მათ დასჭირდებათ ტრენინგები მოდულის სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

ალინა კუპრავამ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა შესაბამისობის ორი რეკომენდაცია,რომელიც ეხება მეხუთე სტანდარტის 5.1.2 კომპონენტს.
დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ფართში უსაფრთხოების ზომების დაცვასთან დაკავშირებით, წარმოადგინა შპს „სმარტ კომპანის“ მიერ გაცემული დოკუმენტი, მათი განმარტებით ამ კომპანიამ მოახდინა მხოლოდ სახანძრო უსაფრთხოების ინვენტარის და რესურსების მონტაჟი, არსებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, მათი გამართულობის გეგმიური შემოწმება და გასცა დოკუმენტი ცეცხლმაქრების რაოდენობის და საევაკუაციო გეგმების შესაბამისობის, ასევე სახანძრო საგანგაშო სისტემის გამართულად მუშაობის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ ჩათვალეს, რომ შპს „სმარტ კომპანის“ მიერ გაცემული დოკუმენტი სრულიად საკმარისი იყო ამ ინდიკატორის დადებითად შესაფასებლად. ექსპერტთა მხრიდან დაწესებულებას განემარტა, რომ ზემოაღნიშნული შემოწმება სრულყოფილად არ მოიცავს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს, რომელიც დარეგულირებულია საქართველოს კანონმდებლობით, შენობა ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაკმაყოფილების შეფასების მიზნით, უნდა მიმართონ სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, რომელიც განახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შემოწმებას

და გასცემს დასკვნას შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ ან/და მიწერილობას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრაზე. დაწესებულებას ასევე არ აქვს შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. ექსპერტთა მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, გაეწერათ სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, რომელშიც აისახება ინფორმაცია კონკრეტული ინდიკატორის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით: შესასრულებელი სამუშაოს შესრულების ვადები, შემსრულებელი/პასუხისმგებელი პირები, რესურსებით უზრუნველყოფის საკითხი და სხვა. დაწესებულების წარმომადგენლები დაეთანხმნენ და გაითვალისწინეს ექსპერტთა რეკომენდაციები, ვიზიტის პერიოდში წერილობით მიმართეს საგანგებო სიტაუციების დეპარტამენტს სახანძრო უსაფრთხოების ნორმების შემოწმების საკითხებთან დაკავშირებით, ასევე მიმართეს სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შენობის მდგრადობის შემოწმების შესახებ. ასევე შეიმუშავეს და დაამტკიცეს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (05/08/2020, ბრძანება N06/20), რომლის თანახმად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შემოწმება და დაკმაყოფილება განხორციელდება 2020 წლის 6 სექტემბრამდე, ხოლო შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის მოპოვება 2020 წლის 7 ნოემბრამდე. აღნიშნული აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირია ლოჯისტიკის მენეჯერი. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა მხრიდან დაწესებულების წარმომადგენლებთან შეჯერებული პოზიციით, ინდიკატორი შეფასდა მეტწილ შესაბამისობად.

ექსპერტების მიერ გაცემული მეორე რეკომენდაცია ეხებოდა მეორესტანდარტის 2.2.4. კომპონენტს::
დაწესებულებას დამტკიცებული აქვს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება, რომელშიც გაწერილია შეფასებასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები: აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია, რა ვადებში ეძლევა სტუდენტს განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და რამდენჯერ, ხოლო სწავლის შედეგების შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმები მოიცავს ჩანაწერებს შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმების შესახებ იმისათვის, რომ შეფასების სისტემა აკმაყოფილებდეს ამ კრიტერიუმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, იყოს სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი. აღნიშნული რეგულაციები უნდა ფარავდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, რომელი ინსტრუმენტი გამოიყენება განმეორებითი შეფასების დროს.

დაწესებულების წარმომადგენლებს ექსპერტების მიერ ეცნობათ აღნიშნული ფაქტის შესახებ, მიეცათ რეკომენდაცია, გაეწერათ სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, რომელშიც აისახება ინფორმაცია კონკრეტული ინდიკატორის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შესასრულებელი სამუშაოს შესრულების ვადები, შემსრულებელი/პასუხისმგებელი პირები, რესურსებით უზრუნველყოფის საკითხი და სხვა. დაწესებულების წარმომადგენლები დაეთანხმნენ და გაითვალისწინეს ექსპერტთა რეკომენდაციები, ვიზიტის პერიოდში 2020 წლის 5 აგვისტოს დირექტორის N06/20 ბრძანებით დამტკიცდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით 2020 წლის 10 სექტემბრამდე უნდა განხორციელდეს შეფასების სისტემის მარეგულირებელ წესში ცვლილებები და დაზუსტდეს ზემოაღნიშნული პროცედურები. დოკუმენტის სრულყოფაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის სამსახური,

პროგრამის ხელმძღვანელი და სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების წარმომადგენლებთან შეჯერებული პოზიციით, ექსპერტთა მხრიდან ინდიკატორი შეფასდა მეტწილ შესაბამისობად.

დაწესებულებას მიეცა ასევე განმავითარებელი რეკომენდაციები:

1. „ვებტექნოლოგიების“ პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ სტუდენტებისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რომელიც დასტურდება პირადი საქმეებით. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან განხორციელდა გასაუბრება, მასწავლებლები იცნობენ პროგრამას, მონაწილეობდნენ მოდულების ადაპტირებაში, თუმცა მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში არ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია. ამის გათვალისწინებით სასურველია, დაწესებულებამ სისტემური მიდგომით მოახდინოს პროგრამის განხორციელებისთვის პროფესიული მასწავლებლების მომზადება: დაიგეგმოს ტრენინგების ციკლი სასწავლო და შეფასების პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის აუცილებელი დოკუმენტების შედგენა/წარმოების უზრუნველსაყოფად.
2. კატალოგი წარმოადგენს დაწესებულების სარეკლამო დოკუმენტს, დაინტერესებულ პირს იგი უნდა აწვდიდეს მნიშვნელოვან მესიჯებს, თუ რას წარმოდგენს დაწესებულება, რა არის მისი მიზანი, რისკენ მიისწრაფვის და რა გზით მიდის დასახული მიზნისკენ. შემდგომი განვითარების მიზნით, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, კატალოგში შეიტანოს სხვა სახის ინფორმაციაც, რისი მიწოდებაც სურს ფართო საზოგადოებისათვის. მაგალითად: სწავლების საფასური, აკადემიური კალენდარი, ინფორმაცია სტუდენტების მიღების შესახებ, განხორციელებული აქტივობები, ჩართულობა სხვადასხვა პროექტებში, ფოტომასალა და სხვა.

ექსპერტმა წარმოადგინა ფოტომასალაც. დაწესებულება შშმ პირებისათვისაც შესაბამისად მოწყობილია. საინფორმაციო რესურსებიც აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, სულხან სულხანიშვილმა განაცხადა, რომ რეკომენდაციებს ეთანხმება. სახანძრო უსაფრთხოების სისტემაზე უკვე მოვიდა დასკვნა და შემუშავებულია მისი გამოსწორების გეგმა. სულ სამი რეკომენდაცია ჰქონდათ. რაც შეეხება შეფასების ინსტრუმენტების შერჩევას და უზრუნველყოფას, გეგმა უკვე გაწერილია. პროფესიული მასწავლებლების გადამზადება იგეგმება და პროგრამის ხელმძღვანელიც გადამზადდება. მიმდინარეობს მოლაპარაკება და ფიქრობს, 10 დღეში მათ მასწავლებლებს და პროგრამის ხელმძღვანელს ექნებათ ტრენინგი მოდულურ სწავლებასთან დაკავშირებით.

შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ პირველი შემთხვევაა, როცა ავტორიზაციის საბჭო განიხილავს საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასების შედეგებს მეხუთე სტანდარტთან „მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები“ მიმართებაში. დაინტერესდა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებს თუ გააჩნიათ შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა განმართა,რომ აღნიშნული საკითხის ანალიზი მოხდება დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარების ანალიზის საფუძველზე, ხოლო ანალიზის შედეგებს საბჭოს წევრებს მიაწოდებენ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯისთვის „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებგანაცხადის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 52-ე მუხლის შესაბამისად,

განხორციელდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის (ს/კ: 405318570) „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება **(დანართი 1)**.

7. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯისთვის „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტს მიმართა, აქცენტი შეჯამების სახით გაეკეთებინა მხოლოდ იმაზე, რაც იყო განსხვავებული.

ალინა კუპრავამ აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა ამ შემთხვევაშიც ფართის ცვლილების საკითხთან დაკავშირებით. მისი თქმით, აბსოლუტურად იდენტური რეკომენდაციები იყო. განსხვავებული იყო პროგრამა და მასწავლებლები, 10-დან 3 დარგის სპეციალისტი იყო. სხვა დანარჩენი არაფერია განსხვავებული დასკვნაში, ვინაიდან ერთნაირი სტანდარტით მოწმდებოდა და პროგრამის ჭრილში განიხილავდნენ.

ნანი დალაქიშვილმა იკითხა, აუდიტორიები თუ იყო განსხვავებული, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ განსხვავებული აუდიტორიები იყო და ცალკე რესურსი, რაც ფოტოებზეც აშკარად ჩანს.

დარგის ექსპერტმაც დაადასტურა, რომ სამივე პროგრამაზე განსხვავებული აუდიტორიები აქვთ. წინაზე თუ აღნიშნა, რომ კომპიუტერული მონაცემები იყო ორჯერ უფრო ძლიერი, ვიდრე მოთხოვნილი იყო, აქაც ქსელსა და ადმინისტრირებაზე რაც იყო, ისიც გაცილებით ძლიერია, უკეთესია, ვიდრე მოთხოვნილია ჩარჩო დოკუმენტში. კომპიუტერის მონაცემებიც ორჯერ უფრო ძლიერია და აპარატურაც უზრუნველყოფს ქსელის მუშაობას. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ პედაგოგების რაოდენობა საკმაოდ ბევრია, რაც უზრუნველყოფს ამ პროგრამის მდგრადობას და ეფექტურ განხორციელებას. მისი თქმით, პროფესიული გამოცდილებიდან გამომდინარე, შეამოწმა პირადი საქმეებიც და მათი კვალიფიკაცია ნამდვილად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯისთვის „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებგანაცხადის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 52-ე მუხლის შესაბამისად,

განხორციელდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის (ს/კ: 405318570) „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება **(დანართი 2)**.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 4 სექტემბერი.

8. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა

როგორც ალინა კუპრავამ აღნიშნა, ესეც ანალოგიური საკითხია. იგივეა როგორც შესაბამისობის, ასევე განვითარების რეკომენდაციები. დარგის მიმართულებით მასწავლებლების რაოდენობა ამ პროგრამაშიც იმდენია, რომ პროგრამის მდგრადობა ეჭვქვეშ არ დაუყენებიათ ექსპერტებს. რა მატერიალური რესურსებიც იყო მოთხოვნაში, დეტალურად გაიარეს და აქაც მონაცემები გაუმჯობესებული და მეტია, ვიდრე მოთხოვნილია ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით. პროგრამის განხორციელებას არ აყენებენ ეჭვქვეშ და როგორც აღნიშნა, სამი დამოუკიდებელი აუდიტორია აქვს დაწესებულებას სამივე პროგრამისათვის.

დარგის ექსპერტმა დაამატა, რომ სრულად ეთანხმება ქალბატონ ალინას, ფოტოებიც წარმოდგენილია, რომ ეს არის სამი განსხვავებული აუდიტორია, თავისი მოთხოვნების შესაბამისად. მატერიალური ბაზა იდეალურ მდგომარეობაშია, პედაგოგთა რაოდენობა იგივეა და კიდევ აღნიშნავს, რომ აქ პრობლემა არ არის ამ მხრივაც.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებგანაცხადის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 52-ე მუხლის შესაბამისად,

განხორციელდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის (ს/კ: 405318570) „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება **(დანართი 3)**.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 4 სექტემბერი.

9. შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 თებერვლის №02 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

ნანი დალაქიშვილმა საბჭოზე წარადგინა შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 თებერვლის №02 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხი. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ მოწერილი წერილის მიხედვით, საბჭოზე აყენებს შუამდგომლობას. წერილი ცენტრში შემოვიდა 18 აგვისტოს და დაწესებულებამ აცნობა, რომ ,,ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამა შესაბამისობაში მოიყვანა ჩარჩო დოკუმენტთან, ანუ სწორად განსაზღვრა სწავლების დონე, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, ასევე კოდი და ითხოვენ შევიდეს ცვლილება ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 თებერვლის №02 გადაწყვეტილებაში. ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების ცვლილების პროექტი უკვე მზად ჰქონდათ, როცა შემოვიდა დამატებითი წერილი შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემიის დირექტორისგან, ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ აღარ ახორციელებენ მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „მიღება-განთავსების სპეციალისტი“, რადგან 2019 წლის 27 ივლისიდან გაუქმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მიღება-განთავსების სპეციალისტის“ ჩარჩო დოკუმენტი. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ახალი ნაკადის ჩარიცხვა აღარ უნდა განხორციელდეს, მართებულად მიაჩნიათ, გააუქმონ შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემიის დირექტორის 04.07.2016 წლის №11/01 ბრძანებით დამტკიცებული „მიღება-განთავსების სპეციალისტის“ (კოდი 112065) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მისი დანართები და ითხოვენ, აღნიშნული საკითხი განხილულ იქნას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოზე, რათა მოხდეს საბჭოს გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა და აღნიშნული პროგრამის ამოღება.

ნანი დალაქიშვილმა ორივე საკითხის პარალელურად განხილვა ითხოვა, რადგან გადაწყვეტილება ერთი და იგივეა, 2017 წლის 10 თებერვლის N02 გადაწყვეტილება, რომელშიც ორი ცვლილება იქნება: ერთი - ,,ბუღალტრული აღრიცხვის“ პარამეტრების შეცვლა და მეორე - „მიღება-განთავსების სპეციალისტის” პროგრამის ამოღება გადაწყვეტილებიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 თებერვლის №02 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობის, ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ცვლილება განხორციელდეს შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 თებერვლის №02 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 4).**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 4 სექტემბერი.

10.სსიპ- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისგანხორციელების შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს №57 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

ნანი დალაქიშვილმა საბჭოზე განსახილველად წარადგინა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს №57 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი. მისი თქმით, წერილი შემოვიდა ცენტრში და უნივერსიტეტი მათ აცნობებს, რომ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილების საფუძველზე, გაუქმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ვებ პროგრამისტი“ და ითხოვენ შუამდგომლობას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წინაშე, რომ შევიდეს ცვლილება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს N57 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გაუქმდეს და გადაწყვეტილებიდან ამოღებულ იქნას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ვებ პროგრამისტი“. წარმოდგენილია გადაწყვეტილების პროექტი. გადმოტანილია ძირითადი დანართი, სადაც ეს პროგრამა ამოღებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს №57 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ცვლილება განხორციელდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს №57 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 5).**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 4 სექტემბერი.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 16:25 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯაფარიძე შორენა

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	ვებტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. №6
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	15
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	63
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	93

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. №6
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	15
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	147

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. №6
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	15
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	95
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	125

დანართი 4

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე/საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ბუღალტრული აღრიცხვა (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 0411	99	129	ქართული	20	ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. №116

(1) აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.”

დანართი 5

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე/საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	არქიტექტორ-ტექნიკოსი (1)	მეოთხე საფეხური	არქიტექტორ-ტექნიკოსის მე-4 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 110153	84	114	ქართული	30	ბათუმი, ფიროსმანის ქ. 12
2	ფარმაცევტის თანაშემწე (1)	მეოთხე საფეხური	ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090551	92	122	ქართული	50	ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. 35/32
3	პრაქტიკოსი ექთანი (1)	მეხუთე საფეხური	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090552	134	164	ქართული	80	ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. 35/32
4	საბიბლიოთეკო საქმე (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საბიბლიოთეკო საქმეში 0322	94	124	ქართული	40	ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. 35/32
5	ვებ ინტერფეისის დეველოპერი (1)	მესამე საფეხური	ვებ ინტერფეისის დეველოპერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040165	61	76	ქართული	40	ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. 35/32
6	ვებ ინტერფეისის დიზაინერი (1)	მესამე საფეხური	ვებ ინტერფეისის დიზაინერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040166	63	78	ქართული	40	ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. 35/32
7	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი (1)	მეხუთე საფეხური	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 030254	111	141	ქართული	80	ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. 35/32

8	მეფუტკრე (1)	მესამე საფეხური	მეფუტკრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010353	76	91	ქართული	45	ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. 35/32

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).